| | |
|---|---|
| სკოლის დასახელება | სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის საჯარო სკოლა |
| მასწავლებელი | ლუიზა ტუკვაძე |
| ნაწყვეტი წიგნიდან | „საიდუმლო შვიდეული“. რა მოახსენეს პიტერს (თავი VIII) |
| სწავლების საფეხური/კლასი | დაწყებითი საფეხური/მესამე კლასი |
| მისაღწევი შედეგები | 1.1 მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა, გაგება, გააზრება და გადმოცემა;<br>ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათ გარეგნობას და ნიშან-თვისებას) |
| წინასწარი ცოდნა | წაკითხულ ტექსტზე მსჯელობის უნარი. საკუთარი გამოცდილებისა და წაკითხული ამბის დაკავშირება, შინაარსის ილუსტრაციების საშუალებით წარმოდგენა |
| აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო) | 1. მოსწავლეთა გამოწვევა;<br>2. „აბა, გამოიცანი!“<br>3. ილუსტრაციებით გამოცნობა და ტექსტში შესაბამისი აღწერის პოვნა.<br>4. სამალავში საკუთარი თავის წარმოდგენა. რასაც დაინახავდით დაწერეთ, ან დახატეთ.<br>5. როლური ჩართვა |
| აქტივობა 1<br>მაპროვოცირებელი შეკითხვა:<br>როგორ გამოვიცნოთ ადამიანები? | **აქტივობის აღწერა:**<br>ყურადღებას ამახვილებენ მაპროვოცირებელ შეკითხვაზე და გამოთქვამენ საკუთარ აზრს. საკუთარ უკავშირებენ წაკითხული ტექსტის შინაარსს.<br><br>**აქტივობის მიზანი:**<br>მოსწავლეებმა გაიხსენონ სხვადასხვა შემთხვევა და თავისუფლად გამოხატონ აზრი. |
| აქტივობა 2<br>„აბა, გამოიცანი!“ | **აქტივობის აღწერა:**<br>მოსწავლეები ყუთიდან ფარულად ამოიღებენ ერთმანეთის სახელებს და დაახასიათებენ კონკრეტულ ამხანაგს 2-3 წინადადებით. დანარჩენი მოსწავლეები გამოიცნობენ „დამალულ სახელს“.<br><br>**აქტივობის მიზანი:**<br>მოსწავლეებს განუვითარდეთ წარმოსახვისა და ზუსტი ლექსიკური ერთეულების გამოყენების უნარი. |

| | | |
|---|---|---|
| აქტივობა 3<br>რას გვიყვება ილუსტრაცია? | აქტივობის აღწერა:<br>მოსწავლეებს წარვუდგენ ილუსტრაციებს ნაწარმოებიდან. ისინი გამოიცნობენ ჯანეტის მიერ აღწერილ მგზავრებს: ლოურენს, ახალგაზრდა ექთან ქალსა და კოჭლ კაცს. გაიხსენებენ თუ როგორა ჰყავს ჯანეტს დახასიათებული თითოეული მათგანი. | აქტივობის მიზანი: გამოიცნონ სახეები და დაუკავშირონ შესაბამისი აღწერა ტექსტიდან. |
| აქტივობა 4<br>საშინაო დავალებად ვწეროთ/ვხატოთ პემისა და ბარბარას მსგავსად | აქტივობის აღწერა:<br>მოსწავლეებს შევთავაზებ დავალებას.<br>1. თქვენც მოიწყვეთ სახლში საკუთარი სამალავი და აღწერეთ.<br>2. აღწერეთ/დახატეთ რასაც დაინახავდით.<br>(დავალება წარმოადგინეთ წერილობით ან ილუსტრაციის სახით).<br>აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესება. | |

შეფასების რუბრიკა

| შეფასების კომპონენტი | დაბალი | საშუალო | კარგი | ძალიან კარგი |
|---|---|---|---|---|
| ლექსიკური ერთეულების გამოყენება | უჭირს შესაბამისი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით წინადადებების შედგენა. | შესატყვისი ლექსიკური ერთეულებით წინადადებების შედგენისას საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას. | თითქმის ყოველთვის ზუსტად არჩევს ლექსიკურ ერთეულებს წინადადებების შესადგენად. | ყოველთვის იყენებს ზუსტ და მრავალფეროვან ლექსიკურ ერთეულებს წინადადებების შესადგენად. |